10 რჩევა მშობლებისათვის:

1. ნუ ელოდები, რომ შენი შვილი იქნება შენნაირი ან ისეთი, როგორიც შენ გინდა. დაეხმარე მას საკუთარი თავის პოვნაში;
2. ნუ მოსთხოვ შენს შვილს საფასურს ყოველივე იმისათვის, რაც მას გაუკეთე. შენ მას სიცოცხლე მიეცი, რითი უნდა გადაგიხადოს? ის სხვას მისცემს სიცოცხლეს და ეს არის მადლიერების შეუქცევადი კანონი.
3. ნუ გადმოანთხევ შენს ბრაზს შენს შვილზე, თუკი გინდა, რომ ტკბილი სიბერე გქონდეს. რამეთუ, რასაც დასთეს, იმას მოიმკი.
4. ნუ შეხედავ შენი შვილის პრობლემებს ზედაპირულად, რაც უნდა არასერიოზულად მოგეჩვენოს ისინი. შესაძლოა, იმ მომენტში მისთვის ცხოვრება უფრო მძიმეც კი იყოს, ვიდრე შენთვის, რადგან მას გამოცდილება არა აქვს.
5. არასოდეს დაამცირო!
6. ეცადე, ყოველთვის გამონახო დრო შვილებთან ურთიერთობისათვის. გახსოვდეს, რომ ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა საკუთარ შვილებთან შეხვედრაა.
7. ნუ დაიტანჯავ თავს იმის გამო, რომ რაღაცის გაკეთება არ შეგიძლია შენი შვილისთვის. იმ შემთხვევაში მოსთხოვე შენს თავს პასუხი, თუკი შეგიძლია, მაგრამ არ აკეთებ.
8. ბავშვი არ არის ტირანი, რომელიც მთელ შენს ცხოვრებას ეუფლება – ეს არის სათუთი სული, რომელიც ცხოვრებამ მოგაბარა, რათა გაუფრთხილდე და განავითარო.
9. მიიღე და გიყვარდეს შენი შვილი ყველანაირი – თუნდაც, ნაკლებად ნიჭიერი ან ნაკლებად იღბლიანი და წარმატებული.
10. შეიგრძენი მასთან ურთიერთობის სიხარული, რამეთუ ბავშვი დღესასწაულია, რომელიც ჯერ-ჯერობით შენთანაა.

იანუშ კორჩაკი